საგამოცდო სისტემა ჭაბუკ ძიუდოისტებში და პირადი მწვრთნელებისთვის უფლებამოსილების განაწილება სანაკრებო დონეზე

შესავალი - არსებული რეალობის მიმოხილვა.

ძიუდოს ფედერაციაში უკანასკნელ პერიოდში გატარებული რეფორმები, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავდა და ისახავს საკლუბო სისტემის და მისი მთავარი ფუნდამენტის პირადი მწვრთნელის როლის კიდევ უფრო მეტად გამოკვეთას, დაფასებას და მათთვის ხელშეწყობას. თანმიმდევრულად ეს შემდეგნაირად გამოიხატა:
1. პირადი მწვეთნელის სახელი და ფინანსური სარგებელი სრულად არის დაცული (აღმასკომის დებულება - 2013/19/05).
2. პოლიტიკური ძალაუფლება - ხმის უფლება უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, ყრილობაზე - მინიჭებული აქვთ კლუბებს, რაც 99% შემთხვევაში ასოცირდება პირადი მწვრთნელის უფლებასთან.
3. საკლუბო სისტემა - როგორც სტიმული და გვერდში დგომა პირველ რიგში სწორედ პირადი მწვრთნელებისთვის საპრიზო ფონდით 260000 ლარი - მუშაობს 2014 წლიდან.
4. საერთაშორისო ფედერაციის ძიუდოს აკადემიის ცოდნაზე და შესაბამისად, სერთიფიცირებაზე წვდომა მშობლიური ქართული ენის გამოყენებით - 150 ზე მეტი სერთიფიცირებული პირადი მწვრთნელი.
5. დეცენტრალიზაცია - 2020 წელის საპილოტე პროგრამა, სადაც პირველად გამოიკვეთა პირადი მწვრთნელების მონაწილეობა ჭაბუკთა ნაკრების მომსამზადებელ ეტაპზე. ბიუჯეტის განკარგვა და სავარჯიშო პროცესის წარმართვა მოხდა პირადი მწვრთნელების მიერ.
6. „მომავალი - JUDO მოქნილი გზა - წარმატებისაკენ“ - პროგრამა, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხორციელდება და მიზნად ისახავს პირადი მწვრთნელების და ჭაბუკი ძიუდოისტების ცოდნის დონის ამაღლებას მთელი საქართველოს მასშტაბით. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში მოხდა ძიუდოს ცოდნის ერთგვარი თავმოყრა, ქართული და კლასიკური ძიუდოს სტილის თუ მიდგომების სინთეზი, რისი საბოლოო დაგვირგვინებაც არის სწორედ საგამოცდო სისტემაზე გადასვლა და კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების გახსნა პირადი მწვრთნელებისთვის.

თუ დავაკვირდებით ზემოთჩამოთვლილ პროექტებს და მათ თანმიმდევრულობას, აშკარად იქნება თვალშისაცემი, რომ ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და ეტაპობრივად განხორციელებული გეგმის ის ნაწილია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე, პრობლემებით და მრავალი გამოწვევებით სავსე რეალობაში ფაქტობრივი ძიუდოს შემქნელების, ფედერაციის ფუნდამეტური რგოლის, პირადი მწვრთნელების სათანადო დაცვა და ხელშეწყობა. შესაბამისად, საგამოცდო სიტემის შემოტანა არის ერთგვარი გაგრძელება, შეიძლება ითქვას, ის

დასკვნითი აკორდიც, რომლითაც მოხდება პირადი მწვრთნელების უფლებების გაზრდა და მათი სისტემური დაკანონება.

პროექტის შინაარსი

1. 2023 წელს ჭაბუკთა ეროვნულ ნაკრებში მოხვედრამდე ძიუდოისტს ეძლევა საშუალება ჩააბაროს გამოცდა ძიუდოს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაში. გამოცდის ჩაბარება 2024 წლიდან იქნება სავალდებულო:

ა) საბაზისო ტერმინები და მოძრაობები.

ბ) ნაგე (ტაჩი) ვაზა - ტექნიკა დგომში.

გ) კატამე (ნე) ვაზა - ტექნიკა ქვეჭიდში.

დ) ნაგენო კატა - ძიუდოს პრინციპების ჩვენება.

ე) ქართული და კლასიკური ძიუდოს სტილის შედარება, ტაქტიკური ელემენტები.

2. გამოცდაჩაბარებული ძიუდოისტის პირად მწვრთნელებზე გავრცელდება მთელი რიგი უფლება-მოვალეობები, კერძოდ:

ა) მოხდება მათი მონაწილეობა ეროვნული ნაკრების ეგიდით დაგეგმილ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში.

ბ) მოხდება მათი მივლინება სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე.

გ) ისარგებლებენ ფედერაციის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პროგრამებით.

3. გამოცდაჩაბარებული ძიუდოისტის მიერ ჭაბუკთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატზე, ასევე ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში მისი პირადი მწვრთნელი უზრუნველყოფილი იქნება სახელფასო ანაზღაურებით ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

მსოფლიო ჩემპიონატი:

1 ადგილი --- 2000 ლარი;

2 ადგილი ---1500 ლარი;

3 ადგილი --- 1000 ლარი.

ევროპის ჩემპიონატი:

1 ადგილი --- 1500 ლარი;

2 ადგილი --- 1000 ლარი;

3 ადგილი --- 500 ლარი.

4. ამ პროექტისთვის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის შედეგები გათანაბრებულია ევროპის ჩემპიონატთან.

5. პირად მწვრთნელს, რომლის ორი ან მეტი მოსწავლე დაიკავებს ზემოაღნიშნულ ტურნირებზე საპრიზო ადგილებს სახელფასო ანაზღაურება მიეცემა არაუმეტეს 2500 ლარის.

6. პირად მწვრთნელთა სახელფასო სისტემაზე გავრცელდება საკონტრაქტო სისტემით გათვალისწინებული პრინციპები.